

წიგნიერების ეროვნული კონფერენცია
”კითხვა და წერა, როგორც სწავლის ფუნდამენტური უნარები”

ასოციაცია “სკოლა _ ოჯახი _ საზოგადოება”
 წმიდა გიორგის სახელობის საერო სკოლა
 iEARN - საქართველო

6-7 დეკემბერი, 2008
 თბილისი, საქართველო

კონფერენციის პროგრამა

I დღე, შაბათი, 6 დეკემბერი

დრო	მოხსენება	მომხსენებელი	ანოტაცია
12:00	წიგნიერებაზე ორიენტირებული სკოლა	პაატა პაპავა - ასოციაცია ”სკოლა - ოჯახი - საზოგადოების” გამგეობის თავმჯდომარე, კითხვის საერთაშორისო ასოციაციის ევრაზიის კომიტეტის თავმჯდომარე	მოხსენების შესავალი შეეხება კონფერენციის აქტუალობას, ძირითად მიზნებსა და შინაარსს. მეორე ნაწილში მომხსენებელი განიხილავს შემდეგ საკითხებს: - კითხვა და წერა, როგორც სწავლის ფუნდამენტური უნარები; - წიგნიერებაზე ორიენტირებული სკოლის ძირითადი მახასიათებლები; - წიგნიერების განვითარების ინტეგრირება სკოლის სწავლა-სწავლების საბაზისო პრინციპებსა და სასწავლო გეგმაში.
12:30	წიგნიერების ამაღლების პრობლემა და	სიმონ ჯანაშია - ეროვნული სასწავლო	მოხსენებაში მიმოხილული იქნება ის მიზნები, რომლებიც

	ეროვნული სასწავლო გეგმა	გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორი	განათლების სისტემას დღეს აქვს წიგნიერების მხრივ; როგორ აისახება ეს მიზნები ეროვნულ სასწავლო გეგმაში და იმ ინსტრუმენტებზე, რომლებიც არსებობს და ვითარდება საქართველოში ამ მიზნების განსახორციელებლად. მიმოხილული იქნება უახლოეს პერსპექტივაში გადასაჭრელი პრობლემები და ის ღონისძიებები, რომლებიც არის მოსალოდნელი.
13:00	ქალები, განათლება და განმანათლებლობა საქართველოში	ლელა გაფრინდაშვილი - ევროპულ ძიებათა ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი	მე-19 საუკუნის საქართველოში გაჩაღებული საგანმანათლებლო მოძრაობა კარგად წარმოაჩენს ორ მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტს: ერთი მხრივ - ანტირუსიფიკაციის სულისკვეთებას და მეორე მხრივ - დასავლური განმანათლებლობის ეპოქის იდეებისადმი სწრაფვას, ქართულ-ევროპული დიალოგის გაღრმავებას. ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში ქალების წვლილი განუზომლად დიდია. მათ მიერ შექმნილი სკოლებისა და სამკითხველოების ქსელი ემსახურებოდა მოწინავე იდეების ტრანსლაციასა და „წიგნიერების“, როგორც იდეის პოპულარიზებას ჩვენს ქვეყანაში.
13:30	სადილი		
14:15	წიგნიერების განვითარება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით GEARN საქართველოს საგანმანათლებლო სარესურსო ქსელის მუშაობის მაგალითზე	პავლე თვალაშვილი - ”საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაციის” (სიქა), დამფუძნებელი, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი, iEARN - საქართველოს კოორდინატორი, iEARN-პედაგოგი ოსტატი ხათუნა ციხელაშვილი - ქ. რუსთავის მე-20 საჯარო სკოლის ისტ მენეჯერი ელენე ხაჩიძე - ქ. გორის მე-3 საჯარო სკოლის ისტ მენეჯერი	2000 წლიდან საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებები: სკოლები, არასამთავრო ორგანიზაციები და კლუბები ჩართული არიან iEARN საერთაშორისო საგანმანათლებლო სარესურსო ქსელში. 2004 წლიდან ამოქმედდა iEARN-ის ქართული ვერსია - GEARN. ამ ქსელის ფარგლებში პედაგოგები მოსწავლეებს სთავაზობენ თანამშრომლობით პროექტებს, რომლებიც საინფორმაციო ტექნოლოგიებს ინსტრუმენტად იყენებს. ამ ინსტრუმენტის გამოყენება კი, თავის მხრივ, მოსწავლეებში კვლევითი აზროვნების, წერისა და კითხვის უნარების გააქტიურებას უწყობს ხელს. დღეს ქსელი აქტიურად იყენებს web2.0 ინსტრუმენტებს, რაც მოსწავლეთა ნაშრომების გამოქვეყნებასა და ნამუშევრებზე კომენტარების გაკეთებას გულისხმობს.

			<p>GEARN-ის ტრენერების მიერ "ირმის ნახტომის" პროგრამასთან თანამშრომლობით 200-ზე მეტი სკოლის 700-მდე პედაგოგის გადამზადება მიმდინარეობს. იქმნება დიდი საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს პედაგოგებსა და მოსწავლეებს, არაერთ პროექტში ჩაერთონ ქართულ ენაზე, გამოიყენონ სხვადასხვა ინფორმაციის წყაროები, მათ შორის ინტერნეტ-რესურსები, და რაც მთავარია, შექმნან საკუთარი მასალები. ისტ მენეჯერების მიერ წარმოდგენილი იქნება კონკრეტული პროექტების მაგალითები.</p>
14:40	საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა	<p>ემზარ ჯგერენაია - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი</p>	<p>თანამედროვე ბიბლიოთეკებისათვის უმთვარეს გამოწვევას ციფრული ბიბლიოთეკა წარმოადგენს. წიგნი თითქოს კარგავს თავის მნიშვნელობას და "ეროტულ" მიმზიდველობას. ტრადიციული, ნაბეჭდი წიგნის ადგილს თანდათანობით იკავებს "ელექტრონული წიგნი", რომელიც კითხვის განსხვავებულ რეჟიმს და კულტურას ქმნის. მსოფლიოს მრავალი ბიბლიოთეკა ცდილობს ცდილობს უპასუხოს ამ გამოწვევას ციფრული ბიბლიოთეკების შექმნით. მოხსენება, ძირითადად, შეეხება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკებს.</p>
15:05	კითხვის უნარების შეფასების მნიშვნელობა და ფორმები	<p>სოფიკო ბარამიძე - წმიდა გიორგის სახელობის საერო სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამის კოორდინატორი, ფსიქოლოგი</p> <p>მაკა მახარობლიძე - წმიდა გიორგის სახელობის საერო სკოლის პედაგოგი, ასოციაცია "სკოლა-ოჯახი-საზოგადოების" ტრენერი</p> <p>მამუკა ხამხაძე - რუსთავის მე-4 საჯარო სკოლის დირექტორი</p>	<p>თანამედროვე ქართულ სკოლაში კითხვის უწყვეტი მონიტორინგი არ ტარდება. უწყვეტი შეფასების გარეშე რთულია სასწავლო პროცესის წარმატებით დაგეგმვა და წარმართვა.</p> <p>სესიაზე წამყვანები განიხილავენ კითხვის ტესტირებასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> - რატომ ვიყენებთ არაფორმალურ ტესტებს სკოლაში? - რას ვაფასებთ კითხვის ტესტირების დროს? - როგორ ვამზადებთ და ვატარებთ კითხვის ტესტს? - როგორ ვიყენებთ ტესტირების შედეგებს? <p>წამყვანები აუდიტორიას წარუდგენენ კონკრეტული სკოლის მაგალითზე დაგროვილი გამოცდილების ამსახველ მასალას. დაინტერესებულ მსმენელებს საშუალება აქვთ, დაუფლონ</p>

			კითხვის ტესტირების ტექნიკას სპეციალურ ვორქშოფზე (იხ. ქვემოთ).	
15:30	მცირე შესვენება			
16:00-17:00 - პარალელური სესიები				
	1.	კითხვის ტესტირების ტექნიკა	<p>სოფიკო ბარამიძე - წმიდა გიორგის სახელობის საერო სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამის კოორდინატორი, სკოლის ფსიქოლოგი</p> <p>მაკა მახაროზლიძე - წმიდა გიორგის სახელობის საერო სკოლის პედაგოგი, ასოციაცია "სკოლა-ოჯახი-საზოგადოების" ტრენერი</p>	<p>ვორქშოფის წამყვანები მონაწილეებს სთავაზობენ კითხვის ტესტირების ეფექტურ, პრაქტიკულ, აპრობირებულ სტრატეგიებს, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> - ტექსტის ადექვატურად შერჩევა და ადაპტირება; - ტესტირებისათვის ოპტიმალური დროის განსაზღვრა; - შეფასების კრიტერიუმების შერჩევა; - ტესტირების ინსტრუქციის მომზადება; - ტესტირების შედეგების გამოყენება სასწავლო პროცესში.
	2.	ნარატიული (თხრობითი) ტექსტის კითხვის ეფექტური მეთოდები დაწყებით კლასებში	<p>ნატო მახაროზლიძე - ასოციაცია "სკოლა-ოჯახი-საზოგადოების" ტრენერ-კონსულტანტი, თბილისის 122-ე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კათედრის კოორდინატორი</p> <p>მაკა ხელაძე - წმიდა გიორგის სახელობის საერო სკოლის პედაგოგი, ასოციაცია "სკოლა-ოჯახი-საზოგადოების" ტრენერი</p> <p>ანნა ბედენაშვილი - წმიდა გიორგის სახელობის საერო სკოლის პედაგოგი, ასოციაცია "სკოლა-ოჯახი-საზოგადოების" ტრენერი</p>	<p>ასოციაციის აქტიური ტრენერები კვლავ გვთავაზობენ ტექსტთან მუშაობის საუკეთესო სტრატეგიებს. მოცემულ ვორქშოფზე წამყვანთა ჯგუფი მონაწილეებს ჩააბამს აქტივობებში, რომლებიც ტის გაგებისათვის საუკეთესო საშუალებაა მოსწავლის წერა-კითხვის ე.წ. ჰოლისტიკურ (გამთლიანებულ) პრაქტიკაში ჩაბმა. ამისთვის გირჩევთ გამოიყენოთ მსოფლიოში აპრობირებული წერა-კითხვის უახლესი მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით ტექსტის შედგენა; - გმირის რუკა; - საავტორო სკამი; - სადისკუსიო ქსელი; - დიდი წიგნები; - ერთობლივი კითხვა; - ინტერვიუ ავტორთან. <p>ეს მეთოდები და მათი განსხვავებული კომბინაციების გამოყენება ნებისმიერი მონაცემების ბავშვს ეფექტურ მკითხველად აქცევს .</p>
	3.	"მკითხველთა თეატრი" - გამართული კითხვის სწავლების	<p>თამარ ანთაძე - წმიდა გიორგის სახელობის საერო სკოლის კათედრის</p>	<p>ვორქშოფის წამყვანები მონაწილეებს სთავაზობენ გამართული კითხვის სწავლების ერთ-ერთ საუკეთესო</p>

	ეფექტური სტრატეგია	კოორდინატორი, ასოციაცია "სკოლა-ოჯახი-საზოგადოების" ტრენერ-კონსულტანტი ქეთევან ფიცხელაური - წმიდა გიორგის სახელობის საერო სკოლის კათედრის კოორდინატორი, ასოციაცია "სკოლა-ოჯახი-საზოგადოების" ტრენერ-კონსულტანტი	სტრატეგიას, რომელსაც "მკითხველთა თეატრი" ეწოდება. ეს არის სასწავლო მეთოდი, რომლის გამოყენებითაც მოსწავლეები შერჩეულ ტექსტებს დრამატიზებული სახით წარმოადგენენ. მონაწილეები მიიღებენ ამომწურავ ინსტრუქციას და მრავალფეროვან მასალას ამ სტრატეგიის დაგეგმვა-განხორციელებისთვის. დაინტერესების შემთხვევაში მასწავლებლები ჩაერთვებიან მკითხველთა თეატრის მოყვარულ მასწავლებელთა ქართულ ქსელში: www.readerstheatregeo.wikispaces.com
4.	ინფორმაციულ ტექსტთან მუშაობის რამდენიმე ახალი სტრატეგია საბაზო და საშუალო საფეხურზე	თეა ჭყოიძე - ასოციაცია "სკოლა - ოჯახი - საზოგადოების" ტრენერ-კონსულტანტი მზია სულამანიძე - წმ. გიორგის სახ. საერო სკოლის სასწავლო გეგმისა და პროფესიული განვითარების კოორდინატორი, ასოციაცია "სკოლა-ოჯახი-საზოგადოების" ტრენერ-კონსულტანტი	თანამედროვე, სწრაფად ცვალებად გარემოში, სადაც ღირებულებების, კულტურული ნორმებისა და თვით ოჯახური ურთიერთობების შეფასება-გადაფასება სულ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, გადაწყვეტილების მისაღები ორიენტირები საკმაოდ ძნელად მისაგნები ხდება. დიდ მნიშვნელობას იძენს პრობლემური სიტუაციების სწორი აღქმა, გაანალიზება და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღება. მონაწილეები აითვისებენ ექსპოზიტორული (საინფორმაციო) ტექსტების დასამუშაველ ისეთ ეფექტურ მეთოდებს, რომლებიც მოსაწვლეებში სიტუაციის ანალიზისა და შეფასების, ასევე, საგაკვეთილო პროცესში მიღებული გამოცდილების რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევებს უვითარებს. ამასთანავე, მონაწილეები მიიღებენ ამომწურავ ინფორმაციასა და საინტერესო მასალებს ამ მეთოდების დაგეგმვა-განხორციელებასთან დაკავშირებით.
5.	კითხვისა და წერის ინტეგრირება საგანმანათლებლო პროგრამაში "ცხოვრების ფასეულობები"	თეა ლობჯანიძე - "საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაციის" (სიქა) გამგეობის თავმჯდომარე, ტრენერ-კონსულტანტი, ცხოვრებისეულ ფასეულობათა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამის (LVEP) კოორდინატორი	სასკოლო ცხოვრებაში ფასეულობითი უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სწავლებისათვის გარემოს ხელშეწყობა ფასეულობითი განათლების ამოცანაა. დღეს ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური ხდება, რადგან ეროვნული სასწავლო გეგმა ავალდებულებს სკოლას, რომ (ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან) სკოლამ განსაკუთრებულად უნდა მიაქციოს ყურადღება ისეთი ღირებულებების

			<p>განვითარებას, როგორცაა ღირსება, სამართლიანობა, ურთიერთპატივისცემა, სხვისი აზრის მოსმენა და აღიარება. "მოთხრობები ფასეულობითი განათლებისათვის" კარგი საშუალებაა კლასში პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად და მოსწავლეებში ფასეულობითი ცოდნის, უნარ-ჩვევების და დამოკიდებულების გასავითარებლად. მნიშვნელოვანია მასწავლებელმა შეაფასოს მსგავსი მოთხრობებით გამოწვეული ცვლილებები და მიღწეული შედეგები მოსწავლის შეფასების ფორმის გამოყენებით.</p>
6.	GEARN – ინტერნეტ-სასწავლო პროექტების დანერგვა სკოლაში	<p>ანანო ბაღდავაძე - 166-ე საჯარო სკოლის პედაგოგი, GEARN პროგრამის ტრენერი; მაკა ღლონტი - 82-ე სკოლის პედაგოგი; GEARN პროგრამის ტრენერი</p>	<p>დღესდღეობით საგანმანათლებლო პროექტები აქტუალური თემაა არა მხოლოდ პედაგოგებისათვის, არამედ მოსწავლეებისთვისაც. პროექტების საშუალებით სკოლებში ინტერნეტ-წიგნიერებამ შეაღწია, ამიტომ მაქსიმალურად უნდა გაღრმავდეს პედაგოგების მუშაობა ამ მიმართულებით. არსებობს საერთაშორისო ქსელი, რომელიც გვთავაზობს სხვადასხვა საგანზე ორიენტირებულ პროექტებს (www.iearn.org) და მისი ქართული ვერსია, სადაც განთავსებულია ქართული პროექტები.</p> <p>მოხსენებაზე გაეცნობიან:</p> <ul style="list-style-type: none"> - GEARN ქართულ პროექტებს; - პროექტზე მუშაობის დაწყების კონკრეტულ საფეხურებს; - საკუთარი საავტორო პროექტის შემუშევების გეგმას; - “მე ვიკვლევ” სტრატეგიას <p>ეს არის ინსტრუმენტები, რომლებიც დიდ დახმარებას გვიწევს პროექტების განხორციელებასა და ინტერნეტ სივრცის გამოქვეყნებაში.</p>

II დღე, კვირა, 7 დეკემბერი

დრო	მოხსენება	მომხსენებელი	ანოტაცია
11:00	მეორე დღის გახსნა	პაატა პაპავა	
11:15-12:30 - პარალელური სესიები <ol style="list-style-type: none"> 1. კითხვის ტესტირების ტექნიკა 2. ნარატიული (თხრობითი) ტექსტის კითხვის ეფექტური მეთოდები დაწყებით კლასებში 3. “მკითხველთა თეატრი” - გამართული კითხვის სწავლების ეფექტური სტრატეგია 4. ინფორმაციულ ტექსტთან მუშაობის რამდენიმე ახალი სტრატეგია საბაზო და საშუალო საფეხურზე 5. კითხვისა და წერის ინტეგრირება საგანმანათლებლო პროგრამაში „ცხოვრების ფასეულობები“ 6. GEARN – ინტერნეტ-სასწავლო პროექტების დანერგვა სკოლაში 			
12:30-13:30 - სადილი			
13:30	ახალი საგამომცემლო პროგრამა კითხვის სწავლების თანამედროვე მეთოდებისათვის	ბაკურ სულაკაური - გამომცემელი, კერძო სკოლის დამფუძნებელი	საქართველოს სკოლებში ფართოდ გავრცელებული ერთ სახელმძღვანელოზე დაფუძნებული კითხვის სწავლების მეთოდიკა საჭირო ეფექტს აღარ იძლევა. საჭიროა ტექსტების რანჟირება სირთულის მიხედვით. მოხსენება ეხება, რანჟირებული წიგნების ახალ სერიას (მე ვსწავლობ კითხვას), აგრეთვე ამ სასწავლო რესურსის დანერგვის სტრატეგიებს კითხვისა და წერის სწავლებაში.
13:50	მეტყველების კულტურის გაუმჯობესებისათვის	ვიოლეტა კვირიკაშვილი - პედაგიურ მეცნიერებათა დოქტორი, “საფეხურებისა” და “ინტელექტუალების” ავტორი	ზეპირი და წერიტი მეტყველების საკომუნიკაციო საშუალებების განსხვავებულობა პუნქტუაციის სწავლებისადმი ახლებურ მიდგომას მოითხოვს. სასვენ ნიშანთა ექსპრესიული ჯგუფის სწავლების საფუძველი ზეპირ მეტყველებაშია, რისი ტრანსფორმაციაც წერით მეტყველებაში პუნქტუაციურ ნიშანთა სახით ხორციელდება. ამ რთული პროცესის გათვალსაჩინოებისათვის მუშაობა სწავლების პირველი დღეებიდანვე უნდა დაიწყოს და მთლიანად საკომუნიკაციო ასპექტში წარიმართოს. მოსწავლეთა შემეცნებით აქტივობაზე აგებული მეთოდიკით მუშაობის პირობებში შესაძლებელი ხდება მოსწავლეთა მიერ მეტყველების საკომუნიკაციო არსის წვდომა და ამისათვის საჭირო საშუალებების გამოყენების აუცილებლობის დანახვა. საგანგებოდ დამუშავებული მიზანმიმართული სავარჯიშოები

			გამორიცხავს გაზეპირებული წესებით მოქმედებას და მექანიკურობას, რაც ესოდენ დამახასიათებელია მოსწავლეთა ნაწერებისათვის. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა ხელს უწყობს უმცროსკლასელთა შეგნებულ აქტივობას, შემოქმედებითობასა და მეტყველების დონის საგრძნობლად ამაღლებას. მონაწილეები გაეცნობიან სასწავლო მასალის განახლებულ კრებულს და შესაბამის მეთოდიკას. ასევე, აუდიტორიაში იხილავენ მათი პრაქტიკული დანერგვის ხერხებს.
14:15	კითხვის სწავლების ეტაპები მის შესაძლო გენერალიზაციამდე.	ქეთი ჟვანია - მე-100 საჯარო სკოლის ინკლუზიური პროგრამის კოორდინატორი	მთლიანი სიტყვის აღქმა, დამახსოვრება, სწავლება, კითხვა, სიტყვათა გამთლიანება, გენერალიზაცია-საიმედო საყრდენი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებთან მომუშავე მასწავლებლებისათვის.
14:45	მშობელთან მიმოწერის დღიური, როგორც სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობის ისტრუმენტი მოსწავლის კითხვის უნარის განვითარებისათვის	ირინა კიკვაძე - ასოციაცია "სკოლა - ოჯახი - სახოგადოების" პროგრამების კოორდინატორი, წმ. გიორგის სახელობის საერო სკოლის საბაზო და საშუალო სკოლის დირექტორი	მონაწილეები გაეცნობიან ასოციაციაში ახლად შემუშავებულ რამდენიმე სამუშაო რვეულს. რომელთა გამოყენება ორმაგ ეფექტს იძლევა: 1. უადვილებს მასწავლებელს მიმდინარე შეფასებას. 2. საგრძნობლად აუმჯობესებს და ააქტიურებს თანამშრომლობას სკოლასა და ოჯახს შორის. ამ დღიურის ათამდე სკოლაში დანერგვამ გვიჩვენა რამდენად უწყობს ხელს მოსწავლის აკადემიურ მიღწევებს მიზნობრივი კომუნიკაცია მასწავლებელსა და მშობელს შორის.
15:15	კონფერენციის დახურვა	პაატა პაპავა	
15:30	ბანკეტი		